ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 23 იანვრის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №2

დ. ხარაგაული 23 იანვარი 2023 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კიკნაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

პაატა გოგოლაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

შალვა ლურსმანაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე

პავლე კიკალიშვილი - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკ კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე - საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ირმა ვეფხვაძე - საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისათვის" თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ზურაბ იჩქიტიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

ინგა ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

ნანა კიკნაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მარიამ შარიქაძე - საკრებულოს დამხმარე მოსამსახურე,

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე - ა.(ა) ი. პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

მანანა ბაბლიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

სულიკო გლუნჩაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 06 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: დავით კიკნაძე

საკითხთა ნუსხა

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ**

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე

2. **ა(ა)იპ- სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახი ფართით 9.26 კვ.მ (ს/კ 36.01.33.046.01.501) და 22.04 კვ.მ (ს/კ 36.01.33.046.01.500) საერთო ფართით 31.66 კვ.მ .სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

3. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ.**

მომხს: ნანა კიკნაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიების 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ:

ა) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: მარინე ხვედელიძე

ბ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ,

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

გ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ,

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

დ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ,

მომხს: პავლე კიკალიშვილი

ე) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ,

მომხს: შმაგი ხიჯაკაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ზურაბ იჩქიტიძის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დავით კიკნაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს, ხომ არ ყოფილა შემთხვევა ტენდერის ჩავარდნის, რომელიც შემდეგ აღარ ჩატარებულა ან განმეორებით ჩატარებისას საერთოდ ვერ მოხერხდა შესყიდვების განხორციელება ტენდერში მონაწილეობის მსურველთა არ ყოფნის გამო.

ზურაბ იჩქიტიძემ დასმულ შეკითხვას უპასუხა, რომ მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2023 წლის 06 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე-9,

წინააღმდეგი-0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2023 წლის 06 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ა(ა)იპ- სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახი ფართით 9.26 კვ.მ (ს/კ 36.01.33.046.01.501) და 22.04 კვ.მ (ს/კ 36.01.33.046.01.500) საერთო ფართით 31.66 კვ.მ .სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ირმა ვეფხვაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის გადასაცემად მოთხოვნილი ოთახებიდან, ერთ-ერთი ოთახი სიტყვიერი დაპირების თანახმად უნდა მიეცათ საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისათვის“ და მოითხოვა განმარტება თუ რატომ ვერ მოხერხდა ფრაქციისთვის ხსენებული ოთახის გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ დასმულ შეკითხვაზე უპასუხა, რომ ის არ იყო ინფორმირებული აღნიშნულ საკითზე და აუცილებლად გაარკვევდა ფრაქციისათვის სამუშაო ოთახის მოძიების საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2023 წლის 06 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე - 8,

წინააღმდეგი - 0,

თავი შეიკავა - 1.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2023 წლის 06 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესი“-ს დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2023 წლის 06 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე-9,

წინააღმდეგი-0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2023 წლის 06 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მარინე ხვედელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხრე - 9,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბესიკ კვირიკაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხრე - 9,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხრე: - 9,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილის ინფორმაცია - საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხრე: - 9,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ამირან ოქრომჭედლიძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საკითზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის), რომელმაც საკითხი წარმოადგინა როგორც კომისიის საქმიანობაზე კურატორმა პირმა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხრე: - 9,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა (თან ერთვის).

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2023 წლის 06 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს მორიგი სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**